



მიხეილ ლაბაძე, სოფიო კეკუა, კესო გეჯუა

**თურქეთის შუა შავიზღვისპირეთში (სინოპის, სამსუნის, ფაცასა და ორდუს ილევში)
მცხოვრებ ქართველ მუჰაჯირთა ჩამომავლების ფოლკლორის ენობრივი
თავისებურებანი¹**

თურქეთის შუა შავიზღვისპირეთში მცხოვრები ქართველები ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი საქართველოდან რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წწ. ომის შედეგად ოსმალეთში გადასახლებული მუჰაჯირების შთამომავლები არიან. მათ დიდ ნაწილს დღემდე ქართული თვითშეგნება აქვს, თუმცა ქართულად საუბარი უჭირს. მშობლიურ - ქართულ ენას ინარჩუნებს მხოლოდ საშუალო და უფროსი თაობა. ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ინტეგრირდებიან თურქულ საზოგადოებრიობაში, რის შედეგადაც, ყოველი მომდევნო თაობა წინაზე უფრო უკეთ ფლობს სახელმწიფო - თურქულ ენას და თანდათან ივიწყებს ქართულს (დიალექტურ მეტყველებას), რომელიც მართალია, მათთვის წინაპრების მემკვიდრეობაა, მაგრამ ნაკლებად პრესტიჟულია.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, როცა თურქეთ-საქართველოს საზღვარი გაიხსნა, თურქეთის ქართველები დიდად დაინტერესდნენ ქართული ენითა და კულტურით. ქართველებით დასახლებულ ადგილებში ჩამოყალიბდა ენის შემსწავლელი წრეები, კულტურის ცენტრები და ა.შ. ენასთან ერთად, თურქეთის ქართველებმა დაიწყეს ქართული ფოლკლორის შესწავლა, დაინტერესდნენ ქართული ცეკვებითაც. ეს, რასაკვირველია, მისასალმებელ მოვლენას წარმოადგენდა, თუმცა საქმე ის იყო, რომ ისინი, ძირითადად, ინტერესდებოდნენ სამწიგნობრო ქართული ენით და ზოგადქართული კულტურით, ხოლო უშუალო წინაპრების მემკვიდრეობა - ქართული დიალექტური მეტყველება და ფოლკლორი - თითქმის შეუსწავლელი რჩებოდა.

¹ სტატია დამუშავებულია შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით, ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2018 წლის კონკურსში გამარჯვებული პროექტის „ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევის კანონზომიერებები ქართველურენოვანი მუჰაჯირების შთამომავალთა მეტყველების მიხედვით“ (FR-18-14869, ხელმძღვანელი - პროფ. ტარიელ ფუტყარაძე) ფარგლებში.



1992 წელს, საქართველოში - ქ. ბათუმში გამოიცა პროფ. შუშანა ფუტკარაძის ფუნდამენტური ნაშრომი „ჩვენებურების ქართული“ (წიგნი პირველი), რომელიც შეიცავდა როგორც ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების, ისე - თურქეთის ავტოქტონ ქართველთა მეტყველების ნიმუშებს. ამ ნიმუშთა მნიშვნელოვან ნაწილს სწორედ ფოლკლორული ტექსტები შეადგენდა (ფუტკარაძე, 1992:21-161). თურქეთის ქართველობის ფოლკლორის ნიმუშები შემდგომში ზოგმა სხვა მკვლევარმაც გამოაქვეყნა, თუმცა თითქმის არავის უკვლევია მათი ენობრივი თავისებურებანი. არადა, რამდენადაც თურქეთში დღემდე შემორჩენილი ქართველური მემკვიდრეობა ნელ-ნელა გაქრობის გზას ადგას, საშურია ამგვარი კვლევის ჩატარება. აქვე დავძენთ ასევე იმასაც, რომ სახელდობრ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ფოლკლორი საინტერესოა ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევის თვალსაზრისითაც.

წინამდებარე სტატია ემყარება 2019 წლის 8-19 ივლისს, თურქეთის შუა შავიზღვისპირეთში წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარული და სამართლის სკოლის ქართველოლოგიის ცენტრის საენათმეცნიერო ექსპედიციის² დროს, საველე მუშაობის შედეგად მოპოვებულ მასალას. 10 დღის განმავლობაში, ექსპედიციის მონაწილეებმა ჩავიწერეთ ქართველ მუჰაჯირთა დღევანდელი შთამომავლების მეტყველების ნიმუშები. მათ შორის ფოლკლორული ტექსტებიც - ძირითადად, ლექსებისა და გადმოცემების სახით.

ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების სასიმღერო ფოლკლორი გამოირჩევა იმით, რომ ძირეულ - ქართულ ლექს-სიმღერებთან ერთად, შეიცავს გვიან შეთვისებულ თურქულენოვან ლექს-სიმღერებსაც. თურქულ-აღმოსავლური სიუჟეტები წარმოდგენილია ასევე, ზღაპრებსა თუ გადმოცემებშიც.

1. ქართველ მუჰაჯირთა ფოლკლორული პოეზია ენობრივი თვალსაზრისით

თურქეთის შუა შავიზღვისპირეთის ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებისგან ჩვენ ჩავიწერეთ ძირითადად, სასიმღერო ლექსები, შელოცვები და ლოცვები. ენობრივი თვალსაზრისით, ეს მასალა შეიძლება დაიყოს ოთხ ძირითად ნაწილად:

² ხელმძღვანელი - პროფ. ტარიელ ფუტკარაძე; მონაწილენი: დოც. მაკა სალია-ბეშიროღლუ (დუზჯეს უნივერსიტეტი, თურქეთი), ფილ. დოქტ. მიხეილ ლაბაძე, ფილ. დოქტ. ფევზი ჩელები (დუზჯეს უნივერსიტეტი, თურქეთი), ფილ. დოქტ. სოფიო კეკუა, დოქტორანტი კესო გეჯუა.



1. საერთო-ქართულ კოინე ენაზე შექმნილი ნიმუშები;
2. რომელიმე ქართულ დიალექტზე შექმნილი/გადაღებული ნიმუშები;
3. ადგილობრივთაგან შეთვისებული, თურქულ დიალექტზე შექმნილი ნიმუშები
4. შელოცვები/ლოცვები ქართულ და არაბულ ენაზე

საერთო-ქართულ კოინე ენაზე შექმნილი ნიმუშებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ისეთი სიმღერები, რომლებიც საქართველოშიც ზოგადად, ან რომელიმე ქართულ კუთხეშიც კარგადაა ნაცნობი და გავრცელებული. მაგალითად, ასეთია უნიელი **აბდულლაჰ ოდაბაშისგან** ჩაწერილი ეს სიმღერა:

ბახმაროს თებზე გაუთოუნია დნ,
შენ შეყვარებულს მარიმეჟ, სხუა უთხოუნია...
ბახმაროს თებზე გაუთოუნია დნ,
მემრენ ისიც რომ დუგდია, სხუა უთხოუნია...
ოჲ მარიმეჟ, მარიმეჟ, გაუთოუნია დნ,
შენ შეყვარებულ[ს] ბახმაროს სხუა უთხოუნია...

როგორც ვხედავთ, აქ პირველსავე სტროფში ზმნა **გაუთოუნია** წარმოდგენილია სამწიგნობრო ქართულის ნორმებთან მაქსიმალურად მიახლოებული ფორმით; **აბდულლაჰ ოდაბაში** ქედელი მუჰაჯირების შთამომავალია და შესაბამისად, მისი საშინაო-სამეტყველო დიალექტი აჭარულია. აღნიშნული ზმნა აჭარულ დიალექტში ჟღერს, როგორც **გუთოუნია**, თუმცა მთქმელი ჯიუტად წარმოთქვამდა სამწიგნობრო ქართული ენის ნორმებთან მაქსიმალურად მიახლოებულ ფორმას - ასეა სიმღერაშიო. შდრ.: ლექსის მეორე კუპლეტის მეორე სტროფში პირველი ზმნური ფორმა - **დუგდია** აჭარული დიალექტური ნორმითაა მოცემული, ლექსში **მარცვლების რაოდენობის საჭიროებიდან გამომდინარე**.

ლექსიკურ თავისებურებებს რაც შეეხება: სიმღერის ტექსტში გვხვდება ფორმა **შეყვარებული**, რომელიც უნიეს მკვიდრ ქართველ მუჰაჯირთა აჭარული მეტყველებისთვის თითქმის უცხოა - მის ნაცვლად იხმარება თურქულიდან ნასესხები ლექსემა **მარი (Yar)**. მუჰაჯირთა დღევანდელი შთამომავლებისთვის უცნობია ასევე, ტოპონიმ **ბახმაროს** ზუსტი მნიშვნელობა, თუმცა ლექსში ის, წინა ლექსიკურ ერთეულთან ერთად, მაინც ნარჩუნდება. ყურადღებას იქცევს, ასევე სახელი



მარიმე, რაც „მარიამისა“ და „მარინეს“ კონტამინირებულ ფორმად გვესახება. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ქართველ მუჰაჯირთა დღევანდელი შთამომავლები ამგვარ ანთროპონიმს არ იცნობენ.

უნიეს სოფელ გუზელიალოში, საიმე ოზგუნისგან (კილაძისაგან) ჩავიწერეთ სიმღერა „ეწერს ცეხლი ეკიდება“, ქობულეთურ კილოკავზე:

ეწერს ცეხლი ეკიდება, მუხასაც ებრიალება,
ეწერს ცეხლი ეკიდება, მუხასაც ებრიალება...
ნენემ რა მითხრას უნდა და რაფერ ჯოღაბი მივცე-ნდა,
ნენემ კაბა შიმიკერა, წინ კოპჭები დიმიკერა,
ნენემ კაბა შიმიკერა, წინ კოპჭები დიმიკერა...
თუ გამათხოუს - გამათხოუს და ძალუან უარ გაჭიტრებული,
თუ გამათხოუს - გამათხოუს და ძალუან უარ გაჭიტრებული...
ნინ-ნინი, ფაცდაჲ, ნინ-ნინი!..

მსგავსი შინაარსის სასიმღერო ტექსტები ფართოდაა გავრცელებული აჭარაშიც და საქართველოს ფარგლებს გარეთ - თურქეთის იმ მხარეებშიც, სადაც ქართველი მუჰაჯირები სახლობენ. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საიმე ოზგუნისგან ჩაწერილ მასალაში ორი სიმღერის ტექსტი ჩანს შერეული.

სინოპელი ჰიქმეთ გაირეთთინისაგან ჩაწერილი სადიდინო სიმღერა (თავადვე ასე დაასათაურა) ქართულ-თურქული კუპლეტებისგან შედგება. ქართული ნაწილი შექმნილია ლივანურ (ნიგალურ) დიალექტზე:

ჩეჟალ ღელე-ღურნეში
ზედთინისი დალისთუნ
გოგოჲ, ერთი მაკოცეჲ
მამაშენის სულისთუნ

İndim dere-ırmağa ya
Zeytin dalı kırmağa ya
Geldim seni almağa ya



Niye başladın ağlamaya?

ქართულისგან განსხვავებით, თურქული ტექსტი სამწიგნობრო ენაზეა. შინაარსს რაც შეეხება: ქართული ტექსტის პირველი ორი სტროფი თურქულის თარგმანს წარმოადგენს, ბოლო ორი სტროფი კი თურქულ ტექსტს (რომლის თარგმანიცაა: „მოვედი შენს წასაყვანად/რატომ დაიწყე ტირილი?“) აღარ მისდევს.

სინოპშივე, შაჰინ გიულისაგან ჩავიწერეთ შამილის ცეკვობის სიმღერა, რომელიც ლეკურის მელოდიაზე სრულდება და ასეთი ტექსტი აქვს:

შამილი ცეკვავს, ქოქდება (იქოქება)

ცერზე დადგება, სწორდება,

მის გოგოს თუ მოშორდება,

ვერ იცოცხლევს, მოკვდება!

მთქმელის შენიშვნით „ესე კაზმანების სიმღერაა, ამა ჩუენი გურჯებმაც იმღერენ“ - „კაბიანებს“ სინოპელი ქართველი მუჰაჯირები აფხაზ-აბაზებსა და ჩერქეზებს უწოდებენ, რადგანაც ისინი გრძელ ჩოხას ატარებდნენ და არა მოკლე ჩაქურას. წინა სიმღერისგან განსხვავებით, ამ სიმღერის ტექსტი ორიგინალურია. მისი შექმნა კი უდავოდ, განაპირობა ჩრდილოკავკასიური მუსიკის დიდმა პოპულარობამ თურქეთის შავიზღვისპირეთში. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამავე სიმღერის ტექსტი თურქულადაც არსებობს:

Şamil dansa başladı,

İki yarını aradı,

Birisi ile dans etti,

Diğeri de terk etti!

„შამილმა ცეკვა დაიწყო,

ორი მიჯნური გამოძებნა,

ერთ-ერთთან იცეკვა,

მეორეს კი დაშორდა“



წინამდებარე თურქული ტექსტი ჩვენ ჩავიწერეთ სინოპის ილის სოფ. ლალაში, უბიხი **სეჩქინ ჯივაზისგან**. მანაც აღნიშნა, რომ წარმოშობით ეს სიმღერა ჩერქეზულია (= ჩრდილო კავკასიური) და გაიხსენა, მისი თქმით, ორიგინალური ტექსტის დასაწყისიც:

შამილ დალაგად კაშარა

ჟგ-თეფჰაჩა რგბჟარა...

„შამილმა დაიწყო ცეკვა

ორ გასათხოვარ გოგოს შორის...“³

ტექსტი აბაზურია, მისი შინაარსი კი გარკვეულწილად ემთხვევა ზემოთ მოყვანილი თურქული ტექსტის პირველ ორ სტროფს. საფიქრებელია, რომ მომდევნო ორი სტროფიც იმავე შინაარსისა უნდა ყოფილიყო, რაც თურქულ ტექსტშია.

როგორც ვხედავთ, ამ სიმღერის ტექსტის ქართული თარგმანი შესამჩნევად შორდება აბაზურ და თურქულ ვარიანტებს. ჩვენი აზრით, ის გარკვეულწილად, მოგვაგონებს საქართველოში კარგად ცნობილი სიმღერის - „ცანგალა და გოგონას“ ტექსტს.

ადგილობრივი მოსახლეობისაგან შეთვისებულ, თურქულ დიალექტზე შეთვისებულ მასალებს რაც შეეხება: უნიეში, **აბდულლაჰ ოდაბაშისგან** ჩვენ ჩავიწერეთ ცნობილი სიმღერის „Çayelinden öteye“ („ჩაიელის გადაღმა“) მისეული ვერსია:

„ჩაიელინდენ ოთეიე

გიდელუმ მალი-მალი

სირტინდაკი სეპეტუნ

ბენ ოლაიმ ხამალი

სეპეტუნუნ იფლერი

კესედი ომუზუნი

აჩ ბემაზ ფეშტემალი

ბირ გოორეფუმ ძუზუნნი...“

„ჩაიელის გადაღმა

³ ტექსტის სწორად ტრანსკრიბირებასა და თარგმნაში დახმარება გაგვიწია პროფ. თეიმურაზ გვანცელაძემ.



გადავიდეთ ნაპირ-ნაპირ,
გორაკებზე შენს კალათს
მე ვატარებ, როგორც მეზარგული;
კალათის თოკებს
მხრებზე გადავიდებ,
[ოლონდ] შენ მოიხსენი თეთრი პირბადე
ერთი, ნება მიბოძე, დაგინახო“

„Çayelinden öteye“ თურქეთის შავიზღვისპირეთში საყოველთაოდ გავრცელებული დესტანი ანუ ლირიკული სიმღერაა. აბდულლაჰ ოდაბაშის თქმით, უნიელი ქართველები მას ხშირად მღერიან ქორწილებსა თუ სხვა რამ გასართობ თავყრილობებზე. ტექსტი ყურადღებას იქცევს იმით, რომ შედგენილია თურქულ-შავიზღვისპირულ დიალექტზე და მასში შეინიშნება თურქულ-ქართულ სამეტყველო კოდთა შერევა: ცალკეულ თურქულ სიტყვებში დასტურდება ქართული მკვეთრი თანხმოვნები, თურქულის პალატალიზებული ხმოვნები კი გადმოცემულია ქართული სადა ხმოვნებით.

განსაკუთრებით საინტერესო და აღსანიშნავია ქართველ მუჰაჯირთა შავიზღვისპირელი შთამომავლების შელოცვები და ლოცვები. მასალა მათგან ჩავიწერეთ როგორც ქართულ, ისე არაბულ ენებზეც. გავეცნოთ ჯერ ქართულ ნიმუშებს:

შაკიკისა კინასა,
ითიბებდა დილასა.
მარიამ რას ჩიუი, მარიამ რას ტირი,
რაგუარ არ უტირო, რაგუარ არ უიჩიტლო,
შუღლი გატაგზად სელასა,
თოუღლი თოუღობდა, ბულთი ბულთობდა,
თაუზე დაცემია, თაუი გასისხლიანებია.
რა არის მაგის წამალი?
სამი სამყურად ბალახი, ყირმიზი იბრიშუმი სამი,
ფულადი ლემსი,
გუდუშუტი - გადაყუება, გადმუშუტი - გადმოყუება...



ეს შელოცვა, ანუ **დაბეჭტა** ჩავიწერეთ უნიეს სოფელ გუზელიალოში, ხეირიე ოზთურქისაგან (შავიშვილისაგან), რომელმაც აღნიშნა: „შაკიკი, თაჟის ტკიპილი - აჲ, ძალჟან აქტკიჟდებჲ, იმის იგია მაი“. მანვე ჩაგვაწერინა „დაბეჭებულის შელოცჳა“:

ცაშინა-მაშინა, რამ შაგაშინა,
შაჟმა ძაღ[ლ]მა, შაჟმა ქალმა, შაჟმა კაცმა,
შაჟმა გჳელმა, შაჟმა მამალმა, შაჟმა ღორმა
შაჟმა გელმა, შაჟმა ძროხამ, შაჟმა ხარმა,
შაჟმა ცხენმა, შაჟმა კატამ -
გუდჳსჳი - გადაყჳება, გადმჳსჳი - გადმოყჳება...

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც პირველი, ისე მეორე შელოცვის ვარიანტები ცნობილია თითქმის მთელ საქართველოში. ამასთან, ჩვენ მიერ ჩაწერილი ვარიანტები საყურადღებოა იმიტომ, რომ მათში კარგადაა დაცული საერთო-ქართული კოინე ენის ფორმები, მთქმელისთვის მშობლიური ქობულეთური კილოკავის გავლენა კი სუსტადღა იჩენს თავს. გარდა ამისა, პირველ შელოცვაში, საერთო-ქართული **შჳილი** ფორმის შესატყვისად პალატალიზებულხმოვნია **შჳლი** ფორმის არსებობა უდავოდ თურქული ენის გავლენის შედეგია.

კიდევ ერთი საინტერესო შელოცვა, რომელიც ჩარშამბას სოფ. ქესთანეფინარში, დერეჩათის უბანში **ჰალითა შირინოღლისგან** (წარმოშობით მაჭახლელი, სოფ. ზედვაკიდან) ჩავიწერეთ, არის „უჟმუნის შეთქმაჲ“:

ნარი-ნური ბაძგარი
ხუთი გობი ნაცარი
უჟმუნის თვალი გჳეცემა
გამოესპოს ჟორთჳალი.
შილის ქალო, უჟმუნის ქალო,
ჰადდან მოხჳელ, გამოჟუჟუნდი,
ისჳენ იქ წაჲ, ჰაცხადან მოხჳელ და მოუჟმუნდი!

ამ შელოცვაში ყურადღებას იქცევს ისეთი ფორმები, როგორებიცაა **გამოესპოს** და **მოუჟმუნდი** (< **მოუჟმურდი**) - არც ერთი არაა დიალექტური. ვფიქრობთ, ისინი ლექსის რითმის საჭიროებიდან



გამომდინარე შემორჩენილა. საინტერესოა, ასევე, ფორმა **შილი** „რძალი რძლისთვის“, რომელიც არქაული სამწიგნობრო ქართულის კუთვნილებაა, თუმცა მუჰაჯირების აჭარულ დიალექტში არ გვხვდება და გაუგებარია მათთვის.

არაბულ ენაზე ლოცვებს რაც შეეხება: რამდენადაც ქართველ მუჰაჯირთა შავიზღვისპირელი შთამომავლების აბსოლუტური უმრავლესობა სუნიტი-მუსლიმანია, ლოცვები მათ დასწავლილი აქვთ ყურანიდან, მაგრამ რაკილა არაბული არ იციან, სიტყვებს წარმოთქვამენ ისე, როგორც თავად დაუმახსოვრებიათ. მაგალითად, ქ. ფაცაში მელიქე **ოზქაბაქისაგან** (ქათამაძისგან) ჩვენ ჩავიწერეთ არაბული ლოცვა ამგვარი ფორმით:

ელჟუზბილლეჰი მინ ეშ შედთანი-რ-რჯიმ!

ბისმილლეჲ რაჰმანი რადიმ!

ჟჟლჰალლა, ფეთალლა, ჰოსელემით ჟელლეში ცულლეთ,

ჟელლეში ქჟლლეთ ჰუთ ჟე ნაჰათ, ჰუ!

ბისმილლეჲ რაჰმანი რადიმ,

ჰოსელემით ჟელლეში ცულლეთ,

ჟელლეში ქჟლლეთ ჰუთ ჟე ნაჰათ, ჰუ!

ბისმილლეჲ რაჰმანი რადიმ,

ჰოსელემით ჟელლეში ცულლეთ,

ჟელლეში ქჟლლეთ აჰუთ ჟე ნაჰათ, ჰუ!

ბისმილლეჲ რაჰმანი რაჰიმ, თებეთიე დაწ

ებილეჟებზე ენუმალუ ჟემნ ქესეფ!

მთქმელის სიტყვით, ესაა ყურანიდან ამოღებული ლოცვა, რომელიც გამოიყენება თვალის ცემის საწინააღმდეგოდ. სიტყვების მნიშვნელობა, ცხადია, მისთვის უცნობია, რადგანაც, როგორც თავად გვითხრა, ლოცვა მან დიდი ბეზიასგან დაიზეპირა: „**ეგი მე ჰემ ჟთჟჟი და ჰემ - გეჟზბერე, დიდი ნენედაწ!..**“; ტექსტი ყურადღებას იქცევს იმით, რომ არაბული სიტყვა-ფორმები მასში თურქული ორთოეპიული ნორმითაა მოცემული - ისე, როგორც თურქები კითხულობენ ყურანს.

2. ქართველ მუჰაჯირთა პროზაული ფოლკლორი ენობრივი თვალსაზრისით



თურქეთის შუა შავიზღვისპირეთის ქართველ მუჰაჯირთა დღევანდელი შთამომავლების პროზაული ფოლკლორი, პოეზიისგან განსხვავებით, მხოლოდ დიალექტზე იქმნება. ეს შეეხება როგორც ქართულენოვან, ისე - თურქულენოვან ფოლკლორულ მასალებს. ჩვენს მიერ ჩაწერილი პროზაული ფოლკლორული ტექსტების უმეტესობა გადმოცემებია. შედარებით იშვიათად შეგვხვდა ზღაპრები.

უნიეს სოფ. გუზელიალიში საიმე ოზგუნისგან (კილაძისგან) ჩავიწერეთ გადმოცემა, რომელიც თავად მან ასე დაასათაურა: „ცხენის მოკდომის წყალი“. მისი თქმით, ქართველმა მუჰაჯირებმა ასე უწოდეს წყაროს, რომელიც სოფლის ახლოს, მთაზე გადმოედის:

ჩუენი დიდტანები, ზამნზე ომ მოსულან, იქ - თეფზე მოსულან, ქედზე მოსულან. მოსახლობა მუწყუიან. იქიდანბერი, მილლეთი გაბრეულეზულა. იქა, ერთი წყალი გუაქ ჩუენ: ახლა, ხელს ჩადეფ - დეფუაუს, ციუია! ზამთარში და - ტანი დემაზან, იმფერმა, თეზილია. იმ წყალის სახელი უნა უთქუა ახლა.

ნემსა, ერთი, ბათომიდან ასე, ქმარები (//კაცები) გადმორეზულან. ცხენზე ყოფილან, ცხენზე შემუდარან. უჭენებმან, მოღალულან, მოღალულან, მოღალულან. ოფლი, ოფლი, ოფლი გამბთარა ცხენი. ის ცხენიზა უთქმან: ცამაღამ მერზე კერთი წყალი არი, ის წყალი იმ ცხენს უასუათო, უთქმან.

ის ცხენი მუწყუანია, ის წყალი უსმია - ცხენი მომკტარა!.. იმ წყალის სახელი - ათდოშანია! ცხენი მუკლია, წყალს. ოფლიანი უსმია, ჰემენ - ორი ფეხი გუზიჯეზია, მომკტარა!.. ათდოშანი - ცხენის მოკდომის წყალი.

„ჩვენი წინაპრები, ადრე რომ მოსულან, იქ - მთაზე დასახლებულან, ქედზე. სამოსახლოები მოუწყვიათ. იქიდან მოყოლებული, ხალხი გამრავლებულა. იქ ერთი წყალი გვაქვს ჩვენ - ახლა (=ზაფხულში) ხელი რომ ჩაყო, ისეთი ცივია, დაგწავს, ზამთარში კი ისეთი თბილია, ტანსაც კი დაიბან. იმ წყლის სახელი უნდა ვთქვა ახლა.

ერთხელ, ბათუმიდან ვაჟკაცები გადმოსულან. ცხენით ყოფილან, ცხენზე მჯდარან. უჭენებით და დაუღლიათ ცხენები, ძალიან გაოფლიანებულა [ერთი] ცხენი. იმ ცხენის გამო უთქვამთ: ამა და ამ ადგილას ერთი წყალია, ის წყალი მაგ ცხენს დავალევიანოთო.



ის ცხენი მოუყვანიათ, წყალი დაუღვენებიათ და ცხენი მომკვდარა! იმ წყალს ჰქვია „ათ დოშან“ - ცხენი მოუკლავს, წყალს. ოფლიანს დაუღვია და ფეხები გაუფშვკია. „ათ დოშან“ - ცხენის მომკლავი წყალი.

როგორც ვხედავთ, ტექსტი აჭარულ დიალექტზეა. თავად საიმი ოზგუნი ქალაქ უნიეს ახლოს, ქობულეთიდან წამოსული მუჰაჯირების სოფელში - ჩათალბუვარშია დაბადებული, თუმცადა ქედლების (მისი თქმით - „აჭარლების“) სოფელ გუზელიალიშია გათხოვილი. მისი მეტყველება ნაწილობრივ ქობულეთურია, ნაწილობრივ - ქედურ კილოკავს მიჰყვება. სამეტყველო კოდთა შერევის თვალსაზრისით ტექსტში საყურადღებოა ის, რომ მიკროტოპონიმი, რომელიც წყაროს ქართველმა მუჰაჯირებმა უწოდეს XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს, თურქულია და არა ქართული.⁴

ზღაპრებს რაც შეეხება: ზოგადად, ზღაპრის საწყისი ფრაზა ემთხვევა თურქულს: **ერთი ყოფილა, ერთი არ ყოფილა** < Biri var idi, biri yok idi. აღსანიშნავია, რომ ზოგი მთქმელი ამ თურქულ ფრაზას ზღაპრის ქართულად მოყოლის დროსაც ამბობს - დიალექტური ფორმით: **ბირი ვარიდი, ბირი მოლიდი**; მაგალითად, წარმოგიდგენთ სინოპის სოფელ დიბექლიში, შაჰინ გულისგან ჩაწერილი ზღაპრის დასაწყისს:

ბირი ვარიდი, ბირი მოლიდი. ერთი კაცი და მისი ქალი ყოფილა. იგინს შუილი არ ყოლებიან მეგერ. ხანმაც გეჟდა, ბერი გახთენ და ჰიჩ შუილი არ ყაჟან ქი, რა-ნდა ქნან? ნემსე, ქალმა უთხრა მეგერ:

- კაცო, ბერი გაჟხთით და შუილი არ მყაჟან, რაფრა ჩჟენი საქმე იქნას? წაჲ დუნმაზე, პაწაჲ ჰაცხა გეჲარე და ამისი ილაჯი ნახე-დედი.

„იყო და არა იყო რა. ერთი კაცი და მისი ცოლი ყოფილა. მათ შვილი არ ჰყოლიათ თურმე. ხანი რომ გავიდა, დაბერდნენ და სულ შვილი რომ არ ჰყავთ, რაღა ქნან? მერე, ქალმა უთხრა თურმე:

⁴ ჩვენი აზრით, ამას ამგვარი მიზეზი უნდა ჰქონოდა: იმ პერიოდში, უნიეს ილჩეს ტერიტორია პონტოელი ბერძნებით იყო დასახლებული. მუსლიმანი ქართველი მუჰაჯირები იქ, ოსმალეთის სულთნის ბრძანებით, სწორედ ქრისტიანი ბერძნების საპირწონედ ჩაასახლეს. ამიტომ, ოსმალურ-თურქული ქართველებისთვის ერთგვარ პრესტიჟულ ენად იქცა.



- კაცო, დავბერდით და შვილი არ გვყავს. როგორ იქნება ჩვენი საქმე? წადი ქვეყანაზე, ცოტა გაიარე და ამის წამალი ნახე რამეო.“

აღსანიშნავია, რომ სოფელ დიბეჯლიში 140 წელია, ერთმანეთის გვერდიგვერდ სახლობენ მაჭახლელი და ლივანელი (ნიგალელი) მუჰაჯირების შთამომავლები. მათი სამეტყველო ქართულიც მაჭახლური და ლივანური (ნიგალური) დიალექტების ნარევია. თავად შაჰინ გული ლივანელი მუჰაჯირების შთამომავალია, თუმცა როგორც ზემოთ მოყვანილი ტექსტიდან ჩანს, მის მეტყველებას მაჭახლურის გავლენა ეტყობა: **მეგერ** (< თურქ. meğer) „თურმე“ ლივანურში არ იხმარება. ასევე: ლივანურში არ ითქმის **ხანმა გეჟდა** „დრო გავიდა“ - იმ მნიშვნელობით, როგორც ტექსტშია, იტყვიან: **უახტი გედუჟდა** და ა.შ. ყურადღებას იქცევს ასევე სხვათა სიტყვის -ო ნაწილაკის ფარდად თურქულიდან ნასესხები **დედი** „თქვა“ ზმნის გამოყენება - თურქეთის შუა შავიზღვისპირეთში მცხოვრებ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებისთვის ეს ზოგადად, მეტად დამახასიათებელია.

ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები (უმეტესად - ისინი, ვინც ქართულს სრულყოფილად ვერ ფლობს) ზღაპრებს და გადმოცემებს თურქულადაც ჰყვებიან. ამ შემთხვევაშიც, როგორც ითქვა, ისინი დიალექტს იყენებენ. მათ თურქულ მეტყველებაში შეინიშნება ქართული ენის გავლენა ფონეტიკისა თუ აქცენტუაციის მხრივ. მაგალითად, ესაა ჩარშამბას სოფელ ქესთანეფინარში **ვედათ სალიჰოღლისგან** ჩაწერილი გადმოცემის დასაწყისი:

ბირ ზამანლარ მაჭახელდე ბირ ფაყირ ინსან ვარმუშ - აშლი ამა, საღლუქლი; ჩუნქი, მაჭახელდე სუფუნი იჩარ, ბალუნი ფერმუშ... ამა ფარასი ფოხმუშ. ჰერქესე ფარდუმ ედარ, იღილიქ ედარ ამა, ფარასი ჰიჩ ოღმაზმუშ...

შდრ. იგივე ტექსტის **სამწიგნობრო თურქული** ვერსია:

Bir zamanlar macahelde bir fakir insan varmış - yaşlı ama, sağlıklı: Çünkü macahelde suyunu içer balını yermiş... ama parası yokmuş. Herkese yardım eder, iyilik yapar ama parası hiç olmamış.

ქართული თარგმანი:



ერთ დროს, მაჭახელში ერთი ღარიბი კაცი ყოფილა - ხნიერი, მაგრამ ჯანმრთელი: ალბათ, იმის გამო, რომ მაჭახლის წყალს სვამდა, თაფლს ჭამდა... მაგრამ ფული არ ჰქონია. ყველას დახმარებას უწევდა, სიკეთეს აკეთებდა, მაგრამ ფული სულ არ ჰქონია.

ჩვენს მიერ ჩაწერილი ტექსტი თურქული ენის შავიზღვისპირული დიალექტის ბრწყინვალე ნიმუშია. როგორც ცნობილია (იხ. ვეჟილოვი, 1973:12-24), ამ დიალექტში მოშლილია ხმოვანთა ჰარმონია, დაკარგულია პალატალიზებული ხმოვნები, გვხვდება კავკასიური (ქართული) ტიპის მკვეთრი თანხმოვნები, კბილბაგისმიერი ფ ნაპრალოვანი სისტემურად იცვლება ბაგისმიერი ფ ხშულით და ა.შ. აქცენტუაციას რაც შეეხება: ჰოლანდიელი თურქოლოგის - ბერნდტ ბრედმუნის (Berndt Bredmoen) ცნობით, შავიზღვისპირულ თურქულში მახვილი სუსტი დინამიკურია და არა ინტენსიური და ფიქსირებული, როგორც სამწიგნობრო თურქულში. ეს მოვლენა უპირატესად ქართული ენის გავლენით იხსნება. (ბრედმუნი, 1996:9). თითქმის ყველა თავისებურება, რასაც მკვლევრები აღნიშნავენ, დაფიქსირებულია ჩვენს მიერ თურქეთის შუა შავიზღვისპირეთში მცხოვრები ქართველი მუჰაჯირების შთამომავლებისგან ჩაწერილ თურქულ მასალებში.

3. დასკვნა

140 წელია, თურქეთის შუა შავიზღვისპირეთში მცხოვრებ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებს ცხოვრება უწევთ არაქართულ გარემოში. 60 წელზე მეტია, ძალზე ინტენსიურად მიმდინარეობს მათი ინტეგრაცია თურქულ საზოგადოებრიობაში. მიუხედავად ამისა, ეს ხალხი მეტ-ნაკლებად ინარჩუნებს ქართულ თვითაღქმასა და ენას. დაცული აქვთ ასევე, ზნე-ჩვეულებებიც, თუმცაღა რწმენით მათი აბსოლუტური უმრავლესობა სუნიტი-მუსლიმანია. ისინი ატარებენ თურქულ სახელებსა და გვარებს და არიან თურქეთის რესპუბლიკის ღირსეული მოქალაქეები, მაგრამ არ ივიწყებენ წინაპრებსა და მათ სამშობლოს - საქართველოს.

აქედან გამომდინარე, ქართველ მუჰაჯირთა დღევანდელი შთამომავლების ფოლკლორში - ისევე როგორც ზოგადად, მეტყველებაშიც, - თავს იჩენს ქართულ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევა/აღრევა. ეს განსაკუთრებით საგრძნობია პროზაულ ფოლკლორში. პოეზია შედარებით უკეთაა დაცული, თუმცა უცხო ენობრივი გარემოთი განპირობებული გავლენები ამჟამად უკვე იქაც შესამჩნევია.



დამოწმებული ლიტერატურა:

ბრედმუნი, 1996: Bredemoen Berndt, Case Merge in the Black Sea Dialects. A Kartvelian Substrate Feature? Árpád Berta, Bernt Brendemoen & Claus Schönig, eds. *Symbolae Turcologicae. Studies in Honour of Lars Johanson on his Sixtieth Birthday 8 March 1996*. Stockholm: Almqvist & Wiksell;

დადიანი, ნაკანი, ხაჭაპურიძე 2001: E. Dadiani, N. Nakani, R. Khachapuridze. **The Language of Incantations According to the Data of Dialects of the Kartvelians**, *Kartvelian Heritage*, V, 2001, pg. 125-130. Printing House “Kutaisi State University”. Kutaisi Discussions proceeding of the symposium, VII, May 3-5, 2000. <http://ejournals.atu.ge/Kartvelology/issues/V/DadianiEka.pdf>

ვექილოვი, 1973: Векилов Афрасияб, Турецкая диалектология, часть I, Ленинград, 1973;

ფუტკარაძე, 1992: ფუტკარაძე შუშანა, „ჩვენებურების ქართული“, წიგნი I, ბათუმი, 1992;